სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/39

ქ. თბილისი 5 მარტი 2019 წ.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 31 იანვრის № 80/ი ბრძანების, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 2019 წლის 8 თებერვლის საბჭოს სხდომის №4 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-02/6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. „სამთო ტექნიკოსი“;
   1.2. „სამთო ელექტრომექანიკოსი“;
   1.3. „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“.

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გიორგი სალუქვაძე